

## გზავნილის ავტორის შესახებ

თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი (ITI)

საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ორგანიზაცია

ცეკვის საერთაშორისო დღე 2026 – 29 აპრილი

კრისტალ პაიტის ბიოგრაფია (კანადა)

ქორეოგრაფი

კანადელი ქორეოგრაფი კრისტალ პაიტი არის კომპანიების *Ballet British Columbia*-სა და უილიამ ფორსაიტის *Ballett Frankfurt*-ის ყოფილი წევრი.

35-წლიან ქორეოგრაფიულ კარიერაში პაიტმა შექმნა სამოცზე მეტი ნამუშევარი ისეთი წამყვანი კომპანიებისთვის, როგორებიცაა *The Royal Ballet, Nederlands Dans Theater, The Paris Opera Ballet* და *The National Ballet of Canada*. იგი ცნობილია ნამუშევრებით, რომლებიც გაბედულად და სიღრმისეულად იკვლევს ისეთ თემებს, როგორიცაა ტრავმა, დამოკიდებულება, კონფლიქტი, ცნობიერება და სიკვდილი. მისმა ძლიერმა, გამორჩეულმა და ორიგინალურმა მხატვრულმა ხედვამ მოიპოვა რა საერთაშორისო აღიარება, შთააგონა ცეკვის ხელოვანთა მთელი თაობა.

იგი ასოცირებული არტისტია სამ წამყვან დასში: *Nederlands Dans Theater, Sadler's Wells* (ლონდონი) და კანადის ეროვნული ხელოვნების ცენტრი. პაიტს მინიჭებული აქვს *Simon Fraser University*-ის საპატიო დოქტორის ხარისხი სახვითი ხელოვნების სფეროში; იგი არის კანადის ორდენის და ასევე საფრანგეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის კავალერის წოდების მფლობელი.

2002 წელს ვანკუვერში მან დააარსა კომპანია *Kidd Pivot*, რომლის მიზანია უნივერსალური ადამიანური საკითხების ხელოვნების ენაზე გადმოცემა და მათი გარდაქმნა ნამუშევრებად, რაც მაყურებელს ადამიანობის არსებით ღირებულებებთან აკავშირებს. კომპანია მსოფლიო მასშტაბით არის ცნობილი ცეკვისა და თეატრის ინოვაციური შერწყმით, საერთაშორისო ტურნეებს მართავს კრიტიკოსების მიერ აღიარებული ნამუშევრებით, მათ შორის: *Betroffenheit, Revisor* და *Assembly Hall* (თანაავტორი ჯონათან იანგთან ერთად), ასევე *The Tempest Replica, Dark Matters, Lost Action* და *The You Show*.

პაიტის მრავალრიცხოვანი ჯილდოებიდან აღსანიშნავია: 2022 წლის კანადის გენერალური გუბერნატორის საშემსრულებლო ხელოვნების პრემია, 2011 წლის *Jacob's Pillow Dance Award* და 2012 წლის *Jacqueline Lemieux Prize* (კანადის საბჭო). 2017 წელს მან მიიღო *Benois de la Danse* ნამუშევრისთვის *The Seasons' Canon* (*Paris Opera Ballet*), ხოლო 2018 წელს — მონრეალის ცეკვის გრან-პრი. იგი ასევე არის ხუთგზის *Sir Laurence Olivier Award*-ის ლაურეატი, მიღებული *Kidd Pivot*-სა და *The Royal Ballet*-თან თანამშრომლობით შექმნილი ნამუშევრებისთვის.